ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302229166**
თარიღი: **18/10/2022**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

წარმოგიდგენთ განმარტებით ბარათს 2022 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ;

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 აგვისტოს N1456 განკარგულებით შევიდა ცვლილება (16.08.2021) წლის N1419 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად სოფელ ორაგვეში ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა ადგილობრივი ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის (გადმოსახედი, ზიპლაინის, საფეხმავლო და ველოსპორტის ბილიკების, გამოქვაბულის მიმდებარე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა) გამოყოფილი თანხა შემცირდა 18062 ლარით მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 17881 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 181 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 24 აგვისტოს N1534 განკარგულებით შევიდა ცვლილება 2022 წლის 17 იანვრის N75 განკარგულებაში. ცვლილების შედეგად ქ.ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია შემცირდა 14781 ლარით. მათ შორის ცენტრალური დაფინანსება 14042 ლარით, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსება 739 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 169728,14 ლარით.

მოთხოვნის განხილვის შედეგად ააიპ საფეხბურთო სკოლის დაფინანსება გაიზარდოს 11872 ლარით. ააიპ სპორტული ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 24640 ლარით. ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 50000 ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდოს 10000 ლარით, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამა გაიზარდოს 90000 ლარით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდოს 5000 ლარით, მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა გაიზარდოს 10000 ლარით, ამასთან ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების პროგრამა გაიზარდოს 13000 ლარით, ბიკარბონატული ჰემოდიალეზით თირკმლის ქრონიკული უკმარისობით

დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების ხარჯის 8000 ლარით და მედიკამენტის შეძენაზე დახმარების პროგრამის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე. სპორტის ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2000 ლარით.

ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს სანებართვო მოსაკრებელი 10500 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 150000 ლარით, ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ნაშთიდან მიიმართოს 70092 ლარი.

ანალიზის შედეგად მომსახურების გაწევიდან შემოსავლები შემცირდეს 30000 ლარით.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი